



GEORGIAN FOUNDATION FOR
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

არალეგიტიმური სავრეზიდენტო არჩევნები აფხაზეთსა და
ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში:
რუსეთის როლი არჩევნებში

მამუკა კომახია

88

ექსპერტის აზრი





საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

მამუკა კომანია

**არალეგიტიმური საკრეზიდენტო არჩევნები აფხაზეთსა და
ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში:
რუსეთის როლი არჩევნებში**

88

2017



პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2017 წელი

ISSN 1512-4835

ISBN

აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო რესპუბლიკებში 1990-იანი წლებიდან მოყოლებული რამდენიმე არალეგიტიმური საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა. არჩევნებში, ხშირ შემთხვევაში, თავისი ფავორიტი ჰყავდა კრემლს, რომელიც წინასაარჩევნო კამპანიის დროს ერთ-ერთ კანდიდატს ღიად უჭერდა მხარს. რამდენიმე შემთხვევაში კრემლის ფავორიტი დამარცხდა, რაც დიდი სიურპრიზი იყო ყველასთვის, მათ შორის, ქართული საზოგადოებისთვისაც. საქართველოში აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების არასწორი შეფასება კი მიუთითებს, რომ ნაკლებად ვიცნობთ საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში მიმდინარე პროცესების თავისებურებებს.

არალეგიტიმური საპრეზიდენტო არჩევნები აფხაზეთში

1993 წელს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დასრულების შემდეგ აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკაში ექვსი არალეგიტიმური საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა, ერთი – არაპირდაპირი და ხუთი – პირდაპირი გზით. ამ პერიოდის განმავლობაში აფხაზეთში ოთხი დე ფაქტო პრეზიდენტი აირჩიეს. კრემლის აქტიური ჩარევა საარჩევნო პროცესში რუსეთში ვლადიმერ პუტინის მმართველობის პერიოდში იწყება.

I არჩევნები (1994 წელი)

აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკაში პრეზიდენტის პოსტი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დასრულების შემდეგ, 1994 წელს შემოიღეს. პირველი პრეზიდენტი არაპირდაპირი არჩევნების გზით 1994 წლის 26 ნოემბერს პარლამენტმა აირჩია. პირველი პრეზიდენტი აფხაზური პოლიტიკის გამორჩეული ფიგურა და აფხაზური მხარის მიერ ომის გმირად აღიარებული ვლადისლავ არძინბა¹ გახდა, რომელსაც კონფლიქტში გამარჯვების შემდეგ აფხაზეთის ტერიტორიაზე დარჩენილი მოსახლეობის უპირობო მხარდაჭერა ჰქონდა.

II არჩევნები (1999 წელი)

აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკაში პირველი პირდაპირი საპრეზიდენტო არჩევნები 1999 წლის 3 ოქტომბერს ჩატარ-

და, სადაც ვლადისლავ არძინბამ ვალერი არშბასთან წყვილში² უკონკურენტო ბრძოლაში გაიმარჯვა. ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო 2002 წლიდან არძინბა საჯარო პოლიტიკას ჩამოშორდა. მან სახელმწიფოს მართვა პრემიერ-მინისტრ რაულ ხაჯიმბას მიანდო, რომელსაც რუსეთის დიდი მხარდაჭერა ჰქონდა. ხაჯიმბა 1999-2001 წლებში აფხაზეთის სახელმწიფო უშიშროების სამსახურის თავმჯდომარე და ამავე დროს პირველი ვიცე-პრემიერი, 2002-2003 წლებში – თავდაცვის მინისტრი, 2003-2004 წლებში კი პრემიერ-მინისტრი იყო. არძინბას ავადმყოფობის პირობებში³ ხაჯიმბას პრემიერ-მინისტრობას მისი გაპრეზიდენტებისათვის ხელი უნდა შეეწყო.

III არჩევნები (2004-2005 წლები)

არჩევნებში რუსეთი პირველად ჩაერთო ღიად ვლადისლავ არძინბას მემკვიდრის შერჩევის პროცესში. კრემლის ხედვით, არძინბას მემკვიდრეობის რაულ ხაჯიმბასთვის გადაბარების პროცესში ხელშემშლელი ფაქტორები არ არსებობდა. ერთი შეხედვით, ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდიოდა, თუმცა ადგილობრივი საზოგადოებრივი განწყობების არასწორი შეფასების გამო კრემლის რეპუტაციას სერიოზული ზიანი მიადგა. შელახული რეპუტაციის აღსადგენად კი მოსკოვს თავისი მოკავშირე სეპარატისტული რესპუბლიკის წინააღმდეგ მრავალმხრივი ბერკეტების, მათ შორის, ხისტი მეთოდების გამოყენება მოუწია.

2004 წლის 3 ოქტომბერს დაგეგმილ არჩევნებში კრემლმა თავისი სიმპათიები ღიად გამოხატა და მხარი მოქმედ პრემიერ-მინისტრს – რაულ ხაჯიმბას – დაუჭირა. არჩევნებამდე ერთი თვით ადრე, 2004 წლის 29 აგვისტოს, ქ. სოჭში რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ხაჯიმბას პირადად შეხვდა, სადაც აფხაზეთში მცხოვრები II მსოფლიო ომის ვეტერანებისთვის სოციალური შემწეობისა და ვეტერანთა ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის საკითხები განიხილეს. განსახილველი თემა მოკრძალებული იყო, თუმცა ამ შემთხვევაში მთავარი თავად შეხვედრის ფაქტი იყო. პუტინმა ხაჯიმბასთან შეხვედრით აფხაზეთის მოსახლეობას ერთგვარად მიანიშნა, რომ კრემლს აფხაზეთის პრეზიდენტად ხაჯიმბას ხილვა სურდა. წინასაარჩევნო პლაკატებზე პუტინისა და ხაჯიმბას ერთობლივი სურათებიც გამოჩნდა. ხაჯიმბას მხარს უჭერდა არძინბას ოჯახიც. აგვისტოში ადგილობრივი გაზეთისთვის მიცე-

მულ ინტერვიუში ხაჯიმბას კანდიდატურას ღიად დაუჭირა მხარი არძინბამ. არძინბას თქმით, ბოლო რამდენიმე წელი იგი ამზადებდა ადამიანს, ვინც შეძლებდა აფხაზეთის აღორძინებას და ასეთ პიროვნებად მას ხაჯიმბა მიაჩნდა.⁴ პუტინისა და არძინბას მიერ ხაჯიმბას მხარდაჭერა მისი წარმატების წინაპირობა უნდა ყოფილიყო, მაგრამ არჩევნებში ყველასთვის მოულოდნელი შედეგი მიიღეს და აფხაზმა ამომრჩეველმა კრემლის ფავორიტს მხარი არ დაუჭირა. არჩევნები აფხაზური სახელმწიფო კომპანია „ჩერნომორენერგოს“ უფროსმა სერგეი ბალაფშმა მოიგო⁵, რომელსაც ორი წამყვანი ოპოზიციური პარტიის – „ამცახარასა“ და „ერთიანი აფხაზეთის“ – მხარდაჭერა ჰქონდა. ბალაფშმა ხმების 59% მიიღო, ხაჯიმბამ კი – მხოლოდ 15.4%.

ხაჯიმბას დამარცხების შემდეგ კრემლი შელახული რეპუტაციის აღსადგენად აფხაზეთის შიდა პოლიტიკაში ღიად ჩაერია. ხაჯიმბამ არჩევნების შედეგები გაასაჩივრა და დამარცხება არ აღიარა, რასაც შიდა აფხაზური დაპირისპირების გამწვავება მოჰყვა. არჩევნების შედეგებით იმედგაცრუებულმა მოსკოვმა აფხაზეთის წინააღმდეგ „სადამსჯელო“ ღონისძიებების გატარება დაიწყო: 15 ნოემბერს აფხაზეთთან საზღვარზე შეზღუდვები დააწესა; 1 დეკემბერს აფხაზეთიდან რუსეთში სოფლის მეურნეობის პროდუქტების, ძირითადად ციტრუსების, იმპორტი შეაჩერა, რაც აფხაზური ეკონომიკის მნიშვნელოვანი სეგმენტია და ადგილობრივი მოსახლეობისათვის შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროა; 2 დეკემბერს რუსეთმა აფხაზეთის წინააღმდეგ დამატებითი ბერკეტი გამოიყენა და სარკინიგზო მიმოსვლა შეაჩერა. სოფლის მეურნეობის პროდუქტების იმპორტზე დაწესებული აკრძალვა და სარკინიგზო მიმოსვლის შეჩერება ბალაფშზე ზეწოლას ისახავდა მიზნად, რომელიც 6 დეკემბერს საპრეზიდენტო ინაუგურაციას გეგმავდა. ბალაფში აცხადებდა, რომ იგი რუსეთის ზეწოლის გამო დათმობაზე არ წავიდოდა.⁶

შიდა აფხაზური დაპირისპირების მოგვარებისა და აფხაზეთში პოლიტიკურ პროცესებზე კონტროლის დამყარების მიზნით, ეკონომიკური სანქციების გამოყენების პარალელურად, რუსეთმა დაპირისპირებულ მხარეებს შორის შუამავლის როლი იკისრა და ბალაფშის ინაუგურაციამდე ერთი კვირით ადრე რუსეთის შსს-ისა და გენერალური პროკურატურის მაღალჩინოსნები და რუსეთის ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენლები სოხუმში მიავილინა. კრემლის დელეგაციას რუსეთის შს მინისტრის მოადგი-

ლე ალექსანდრ ჩეკალინი ხელმძღვანელობდა. დელეგაციის წევრი იყო გენერალური პროკურორის მოადგილე ვლადიმერ კოლესნიკოვი, რომელიც 1948 წელს აფხაზეთის ტერიტორიაზე, გუდაუთაში, არის დაბადებული.⁷ კრემლის ვარაუდით, კოლესნიკოვის აფხაზური კავშირები შიდა აფხაზური დაპირისპირების რუსეთისთვის სასარგებლო პირობებით მოგვარებას ხელს შეუწყობდა.

კრემლის „შუამავლობის“ შედეგად დაპირისპირებულმა მხარეებმა ძალაუფლების განაწილების შეთანხმებას მიაღწიეს, რაც ბალაფშისა და ხაჯიმბას არჩევნებში ერთად მონაწილეობასაც ითვალისწინებდა. 6 დეკემბერს მიღწეული შეთანხმებით, ბალაფშში საპრეზიდენტო კანდიდატი გახდა, ხაჯიმბა კი – ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატი. შეთანხმების თანახმად, მნიშვნელოვნად გაიზარდა ვიცე-პრეზიდენტის ძალაუფლება, რომელიც თითქმის პრეზიდენტის ძალაუფლებას გაუტოლდა. ვიცე-პრეზიდენტი პოლიციის, თავდაცვის, უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის საკითხებზე იქნებოდა პასუხისმგებელი და ამ სფეროში საკადრო გადაწყვეტილების მიღების უფლებასაც იღებდა.⁸

2005 წლის 12 იანვარს დანიშნულ არჩევნებში ბალაფშმა ხაჯიმბასთან წევილში ხმების 90.1% მიიღო, ბალაფშის კონკურენტმა იაკუბ ლაკობამ კი – 4.5%. კრემლის გათვლებით, ხაჯიმბას ვიცე-პრეზიდენტობა კრემლის შერყეულ რეპუტაციას აღადგენდა და ბალაფშის ხელისუფლებას შეზღუდავდა.

IV არჩევნები (2009 წელი)

2009 წლის 12 დეკემბერს არჩევნებში ერთმანეთს კვლავ ძველი კონკურენტები დაუპირისპირდნენ. რაულ ხაჯიმბამ, რომელიც 2005-2009 წლებში აფხაზეთის ვიცე-პრეზიდენტი იყო, მთავრობა და პრეზიდენტი გააკრიტიკა და ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობიდან 2009 წლის 28 მაისს გადადგა. გადადგომის მიზეზად სერგეი ბალაფშთან უთანხმოება დაასახელა. მანამდე ხაჯიმბას მომხრე ექვსმა ოპოზიციურმა ჯგუფმა ბალაფშის ადმინისტრაციის საგარეო-პოლიტიკური კურსი გააკრიტიკა, რაც, მათი აზრით, შიდა პოლიტიკურ დესტაბილიზაციას და საზოგადოებაში ანტირუსული განწყობების ზრდას უწყობდა ხელს.⁹

არჩევნებში ბალაფშმა (ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატი ალექსანდრე ანქვაბი იყო) გაიმარჯვა. ბალაფშმა ხმების 61.16% მიიღო. ხაჯიმბამ ბალაფშთან ზედიზედ მეორე მარცხი იწვნია. მან ხმების მხოლოდ 13.32% მიიღო. ხაჯიმბას მიმართ რუსეთის დიდი

სიმპათიების მიუხედავად, წარსული შეცდომის განმეორების თავიდან ასაცილებლად კრემლს ამჯერად ღია მხარდაჭერა ხაჯიმბასადმი არ გამოუხატავს და არჩევნების შედეგები აღიარა.¹⁰

ვარჩევნები (2011 წელი)

2011 წლის 29 მაისს სერგეი ბალაფშის გარდაცვალების გამო 2011 წლის 26 აგვისტოს ჩატარდა ვადამდელი არჩევნები. მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტობის კანდიდატი, ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე ანქევაბი ცნობილი იყო თავისი ხისტი ხასიათით და დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით, კრემლს ოფიციალურად ღია მხარდაჭერა რომელიმე სხვა კანდიდატისადმი არ გამოუხატავს. ერთ-ერთი მეტ-ნაკლებად გამორჩეული შემთხვევა, როდესაც წინასაარჩევნო პროცესში ანქევაბის წინააღმდეგ კრემლის ქმედებებზე შეიძლება ვიფიქროთ, 15 აგვისტოს მოხდა, როდესაც საპრეზიდენტო კანდიდატ სერგეი შამბას მომხრეებმა ღია ცის ქვეშ ვიდეოჩანაწერი გაუშვეს. ჩანაწერში საქართველოს ყოფილი თავდაცვის მინისტრი თენგიზ კიტოვანი, რომელიც მოსკოვში ცხოვრობს, აცხადებს, რომ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დროს ანქევაბი თბილისთან თანამშრომლობდა.¹¹ არჩევნებში ანქევაბმა გაიმარჯვა.¹² მან ხმების 54.90% მიიღო. ანქევაბის ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატი მიხეილ ლოგუა იყო. მეორე ადგილი შამბამ დაიკავა (21.02%), რაულ ხაჯიმბა კი, ზედიზედ მესამე არჩევნებში დამარცხდა. მან ხმების მხოლოდ 19.82% მიიღო. საინტერესოა, რომ ხაჯიმბასთან ერთად ნყვილში ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატი ვლადისლავ არძინბას ქვრივი სვეტლანა ჯერგენია იყო. ხაჯიმბასა და არძინბას ოჯახის რევანში, ამ ეტაპზე რუსეთის მხრიდან სუსტი მხარდაჭერის პირობებში, ვერ შედგა.

გამარჯვების ოფიციალურად გამოცხადებიდან რამდენიმე საათში ანქევაბს გამარჯვება ტელეფონით მიულოცა რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა.¹³ მიუხედავად იმისა, რომ კრემლს ანქევაბის გაპრეზიდენტებისთვის ღიად არ შეუშლია ხელი, ცხადი იყო, რომ ანქევაბი მოსკოვისთვის მიუღებელი პარტნიორი იყო. კრემლმა ამჯობინა მოვლენების განვითარებას და ანქევაბის პოზიციების დასუსტებას დალოდებოდა. 2014 წლის მაისში კრემლში მიიჩნიეს, რომ ანქევაბი და მისი გუნდი რუსეთთან ფორმალური ასოციაციის წინააღმდეგნი იყვნენ და აფხაზეთის რუსეთთან უფრო ღრმა ინტეგრაციას უშლიდნენ ხელს.

2014 წლის მაისის ბოლოს აფხაზეთში შიდაპოლიტიკური ვითარება უკიდურესად დაიძაბა. ოპოზიციის ლიდერად კვლავ ხაჯიმა მოგვევლინა, რომელმაც ანქვების საწინააღმდეგო კამპანია წამოიწყო. 28-29 მაისს შიდა აფხაზეთი კრიზისის დასარეგულირებლად აფხაზეთს რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთთან“ სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთქმედების საკითხებში პრეზიდენტის თანაშემწე, საქართველოს ოკუპირებული რეგიონების კურატორი ვლადისლავ სურკოვი ეწვია. სურკოვს თან ახლდა რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე რაშიდ ნურგალიევიც. სურკოვი ოპოზიციის წარმომადგენლებს სოხუმში, ანქვებს კი გუდაუთაში, რუსულ სამხედრო ბაზაზე შეხვდა. სურკოვის შეხვედრა ოპოზიციონერებთან სამ საათს გაგრძელდა, სადაც სურკოვს ხაჯიმბამ და მისმა მომხრეებმა თავიანთი მოთხოვნები გააცნეს, მათ შორის – ანქვების გადადგომის შესახებ.¹⁴ სურკოვის უშუალო ჩარევის შედეგად 2014 წლის 1 ივნისს ანქვები თანამდებობიდან გადადგა. სურკოვი მიესალმა „კრიზისის მშვიდობიან გადაწყვეტას“ და აფხაზეთს მოსკოვის სრული ფინანსური და სამხედრო მხარდაჭერის გაგრძელება აღუთქვა.¹⁵

ანქვების გადადგომის შემდეგ გალის ქართულენოვან მოსახლეობას არჩევნებში მონაწილეობა შეუზღუდეს (აფხაზეთი პასპორტების უკანონოდ მიღების საბაზით), რადგან ხაჯიმბას მომხრეების აზრით, გალი ხაჯიმბას მოწინააღმდეგეების დასაყრდენი იყო. ხაჯიმბასა და მისი მომხრეებისთვის ეს იყო პირველი ნაბიჯი ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებში წარმატების მისაღწევად.

VI არჩევნები (2014 წელი)

ალექსანდრე ანქვების გადადგომის შემდეგ ჩატარებულ ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებში, 2014 წლის 24 აგვისტოს, რაულ ხაჯიმბამ მეოთხე მცდელობით გაიმარჯვა. არსებულ პოლიტიკურ ვითარებაში ხაჯიმა არჩევნებში გამარჯვების უპირობო ფავორიტად ითვლებოდა. მან ხმების 50.60% მიიღო. ხაჯიმბას ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატი ვიტალი გაბნია იყო. მეორე ადგილზე გავიდა სახელმწიფო უშიშროების სამსახურის უფროსი ასლან ბჟანია (35.88%). ხაჯიმბას ინაუგურაციას 2014 წლის 25 სექტემბერს ვლადისლავ სურკოვიც დაესწრო. ინაუგურაციის შემდეგ ძალიან მალე, 2014 წლის 24 ნოემბერს, ქ. სოჭში ხაჯიმბამ რუსეთ-აფხაზეთს შორის მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ მოაწერა ხელი.

არალეგიტიმური საპრეზიდენტო არჩევნები ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში

ქართულ-ოსური კონფლიქტის დასრულების შემდეგ (1992 წ.) ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში ხუთი არალეგიტიმური საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა. ამ პერიოდის განმავლობაში ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში ოთხი დე ფაქტო პრეზიდენტი აირჩიეს. აფხაზეთის მსგავსად, კრემლის აქტიური ჩარევა საარჩევნო პროცესში რუსეთში ვლადიმერ პუტინის მმართველობის პერიოდში იწყება. 2011 წელს კრემლი უხეშად ჩაერია არჩევნების შედეგების განსაზღვრაში, როდესაც არჩევნებში არასასურველი კანდიდატის მოულოდნელი გამარჯვების შემდეგ არჩევნების შედეგები გააუქმეს და ახალი არჩევნები დანიშნეს, სადაც უკვე კრემლის ფავორიტმა გაიმარჯვა.

I არჩევნები (1996 წელი)

ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში პრეზიდენტის პირველი არალეგიტიმური არჩევნები 1996 წელს ჩატარდა, სადაც ლუდვიგ ჩიბიროვმა გაიმარჯვა, რომელიც მანამდე უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე იყო.¹⁶ პრეზიდენტის პოსტის შემოღებამდე სეპარატისტული რესპუბლიკის ლიდერები უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეები იყვნენ. ჩიბიროვი უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე იყო 1993 წლიდან პრეზიდენტად არჩევამდე.¹⁷ 1996 წლის არჩევნებში ჩიბიროვმა ხმების 65% მიიღო, ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ვლადისლავ გაბარაევმა კი – 20%.

II არჩევნები (2001 წელი)

2001 წლის 18 ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნებში, მოსკოვის მხარდაჭერის მიუხედავად, ლუდვიგ ჩიბიროვი დამარცხდა. არჩევნების პირველი ტური მოსკოვიდან დაბრუნებულმა ბიზნესმენმა ედუარდ კოკოითიმ მოიგო¹⁸. პირველ ტურში კოკოითიმ ხმების 45% მიიღო, ჩიბიროვმა კი – ხმების მხოლოდ 21% და მეორე ტურშიც კი ვერ გავიდა. 2001 წლის 6 დეკემბერს დანიშნულ მეორე ტურში კოკოითიმ ხმების 53% მიიღო, მისმა კონკურენტმა სტანისლავ კოჩიევმა კი – 40%. კოკოითის გამარჯვება, რომელსაც რუსეთის მხარდაჭერა არ ჰქონია, მოულოდნელი იყო.¹⁹ თუმცა რუ-

სეთში ბორის ელცინის პრეზიდენტობისა და ვლადიმერ პუტინის პრეზიდენტობის საწყის ეტაპზე კრემლი საქართველოს სეპარატისტულ რესპუბლიკებში ჩატარებულ არჩევნებში უხეშად არ ერეოდა.

III არჩევნები (2006 წელი)

2006 წლის 12 ნოემბრის არჩევნებში ედუარდ კოკოითიმ შთაბეჭედავი გამარჯვება მოიპოვა და ხმების 98.1% მიიღო. მეორე ადგილზე გასულმა ლეონიდ თიბილოვმა, პოსტკონფლიქტური დარეგულირების საკითხებში დე ფაქტო პრეზიდენტის სრულუფლებიანი წარმომადგენლის მრჩეველმა, რომელიც მანამდე ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარე იყო ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მხრიდან, მხოლოდ 0.9% მიიღო. არსებული ინფორმაციით, კოკოითის მესამე ვადითაც სურდა პრეზიდენტობა, თუმცა მისი მცდელობა, კონსტიტუცია შეეცვალა, წარუმატებელი გამოდგა. ცხინვალსა და მოსკოვში კოკოითის ოპონენტებმა მას 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ რუსეთის მიერ ცხინვალისთვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების არაეფექტურ ხარჯვასა და თანხების მითვისებაში დასდეს ბრალი. შიდა ოპოზიციის გარდა ცხადი იყო, რომ კოკოითის პოლიტიკურ გეგმებს კრემლიც არ იზიარებდა. კონსტიტუციის ცვლილების წინააღმდეგ მოსაზრება გამოთქვა რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა სერგეი ნარიშკინმაც.²⁰ შედეგად, შიდა და საგარეო ფაქტორების გამო, 2011 წლის 10 დეკემბერს კოკოითი პრეზიდენტის პოსტიდან გადადგა. 2012 წლის 25 მარტამდე დე ფაქტო პრეზიდენტის მოვალეობას პრემიერ-მინისტრი ვადიმ ბროვცევი ასრულებდა.²¹

IV არჩევნები (2011—2012)

შიდა პოლიტიკური დრამა გათამაშდა 2011 წლის 13 ნოემბერს გამართული არჩევნების შემდეგ, სადაც განათლების ყოფილმა მინისტრმა, ედუარდ კოკოითის ძველმა მხარდამჭერმა, შემდეგ კი – კრიტიკოსმა ალა ჯიოევამ ხმების 24.8% მიიღო და არჩევნების მეორე ტურში გავიდა, სადაც 2011 წლის 27 ნოემბერს ხმების 56.74%-ით სახელისუფლებო კანდიდატს ანატოლი ბიბილოვს სძლია, რომელმაც 40% მიიღო. ბიბილოვს ღიად უჭერდა მხარს რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი, რომელიც 2011 წლის

21 ნოემბერს ბიბილოვს ჩრდილოეთ ოსეთის დედაქალაქ ვლადიკავკაზში შეხვდა.²² ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მეორე ტურის შედეგები აღიარა, თუმცა უკვე 28 ნოემბერს, ჯიოევას მხრიდან საარჩევნო პროცედურების დარღვევის მოტივით, ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის უზენაესმა სასამართლომ არჩევნების შედეგები გააუქმა, ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის პარლამენტმა სწრაფადვე დანიშნა 2012 წლის მარტში ახალი არჩევნები, ჯიოევას კი არჩევნებში მონაწილეობა აუკრძალა. განმეორებით არჩევნებში მონაწილეობაზე ბიბილოვმაც უარი განაცხადა.²³

საბოლოოდ, 2012 წლის 25 მარტს დაინიშნა ახალი არჩევნები. რუსეთის ფავორიტი კომპრომისული ფიგურა ლეონიდ თიბილოვი გახდა, რომელმაც პირველ ტურში, 42.5% მიიღო, მეორე ტურში, 8 აპრილს კი – 54%.²⁴ მისი კონკურენტი დავიდ სანაკოვეი იყო. თიბილოვი 1981 წლიდან საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის („სუკ“) თანამშრომელი იყო და 1992-1998 წლებში ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის უშიშროების სამსახურს ხელმძღვანელობდა. თიბილოვი რუსეთისადმი ლოიალურ კანდიდატურად ითვლებოდა. შიდა სტაბილურობის მიღწევის მიზნით, თიბილოვმა გაპრეზიდენტების შემდეგ გაუქმებული არჩევნების გამარჯვებული ალა ჯიოევა მთავრობის თავმჯდომარის მოადგილედ დანიშნა და საკურატოროდ სოციალური სფერო ჩააბარა.²⁵

V არჩევნები (2017 წელი)

კრემლის როლი ღიად გამოიკვეთა 2017 წლის 9 აპრილს ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებში. წინასაარჩევნო კამპანიისა და პოსტსაარჩევნო პერიოდში ადგილობრივი პოლიტიკის მთავარი შემოქმედი ვლადისლავ სურკოვი იყო. სურკოვის როლი ჯერ კიდევ წინასაარჩევნო კამპანიის დროს გამოიკვეთა, როდესაც საპრეზიდენტო კანდიდატების შერჩევა მიმდინარეობდა. მთავარი კონკურენტები მოქმედი პრეზიდენტი ლეონიდ თიბილოვი და პარლამენტის თავმჯდომარე ანატოლი ბიბილოვი იყვნენ. წინასაარჩევნო პროცესში კრემლს რომელიმე კანდიდატისადმი ღია სიმპათია არ გამოუხატავს. ორივე კანდიდატი ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის რუსეთთან ინტეგრაციის მომხრეა. სურკოვი თებერვალში იმყოფებოდა ცხინვალში და თიბილოვთან შეხვედრისას იგი პუტინის მხარდაჭერაში დაარწმუნა.

თუმცა, არსებული ინფორმაციით, მხარდაჭერაზე მინიშნებები მიიღო ბიბილოვმაც. რუსეთის პოზიცია ცალსახად ნათელი იყო ყოფილ პრეზიდენტთან ედუარდ კოკოითისთან მიმართებით, რომლის არჩევნებში მონაწილეობაც კრემლისთვის მიუღებელი იყო.²⁶

კოკოითიმ კანდიდატად დარეგისტრირება ვერ მოახერხა იმ მიზეზით, რომ იგი ბოლო ხუთი წელი მუდმივად არ ცხოვრობდა ცხინვალში. კოკოითიმ 2017 წლის 4 მარტს საარჩევნო კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში სურკოვს დასდო ბრალი. კოკოითიმ სურკოვს „თაღლითი“ უწოდა, რომელიც, მისი შეფასებით, ისე მოქმედებდა, „თითქოს სამხრეთ ოსეთის მეპატრონე იყო“. კოკოითიმ მის წინააღმდეგ მუშაობაში სურკოვი, რუსეთის პრეზიდენტის მრჩეველი ალექსეი ფილატოვი და დსთ-ის წევრი ქვეყნების, აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ რესპუბლიკებთან სოციალურ-ეკონომიკური თანამშრომლობის სამმართველოს უფროსი ოლეგ გოვორუნი დაადანაშაულა.²⁷ მიუხედავად იმისა, რომ საპრეზიდენტო კანდიდატები რუსეთისადმი ლოიალობით გამოირჩეოდნენ, ბიბილოვისადმი სურკოვის სიმპათიები აშკარად გამოვლინდა. ბიბილოვმა პირველივე ტურში 54.8% მიიღო, თიბილოვმა კი – 30%. ბევრისთვის თიბილოვის მარცხი მოულოდნელი იყო, რადგან არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე, 21 მარტს, თიბილოვი ვლადიმერ პუტინს მოსკოვში შეხვდა, რაც კრემლის მხრიდან მისი კანდიდატურის სრულ მხარდაჭერად ჩაითვალა.²⁸ არჩევნების დასრულების შემდეგ სურკოვი პირადად შეხვდა გამარჯვებულ ბიბილოვს და მის გამარჯვებას „პროგნოზირებადი და დამაჯერებელი“ უწოდა.²⁹

ძირითადი დასკვნები

- ქართულ საზოგადოებაში გავრცელებული მოსაზრება, რომ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში არალეგიტიმური საპრეზიდენტო არჩევნების მოსაგებად მხოლოდ კრემლის მხარდაჭერაა გადამწყვეტი ფაქტორი, მიუთითებს, რომ ნაკლებად ვიცნობთ რუსეთის მიერ ოკუპირებულ საქართველოს რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის განწყობებს და ეს, შესაბამისად, სხვა საკითხებშიც არასწორი დასკვნების გაკეთებისკენ გვიბიძგებს.
- რუსეთის ღია ჩარევა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო საპრეზიდენტო არჩევნებში რუსეთში ვლადიმერ პუტინის მმართველობის პერიოდში იწყება,

როდესაც კრემლი ცდილობს როგორც წინასაარჩევნო პროცესების კონტროლს, ასევე არჩევნების შედეგების განსაზღვრას.

- აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში ჩატარებულ ყველა არალეგიტიმურ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე კანდიდატი, გამონაკლისის გარეშე, ღიად გამოხატავს პრორუსულ ორიენტაციას. თუმცა, ამის მიუხედავად, კრემლი ცდილობს შეარჩიოს რუსეთისადმი უპირობოდ ლოიალურად განწყობილი კანდიდატი, რომელიც რუსეთთან პოლიტიკურ, სამხედრო და ეკონომიკურ სივრცეში უფრო ღრმა ინტეგრაციის მომხრე იქნება და ნაკლებად შეძლებს დამოუკიდებელი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებას.
- რუსეთის ფავორიტ კანდიდატებს უშიშროებასა და სამხედრო სფეროში მუშაობის გამოცდილება აქვთ, რაც კრემლის მხარდაჭერის მისაღებად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. სხვადასხვა პერიოდში ასეთი კანდიდატები იყვნენ რაულ ხაჯიმბა, ლეონიდ თიბილოვი, ანატოლი ბიბილოვი.
- აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში არალეგიტიმურ საპრეზიდენტო არჩევნებში წარმატების მისაღწევად მხოლოდ რუსეთის ღია მხარდაჭერა არ არის საკმარისი. კრემლის და უშუალოდ რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის მხრიდან ერთი რომელიმე კანდიდატისადმი სიმპათიების მიუხედავად, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში არჩევნები იმ კანდიდატებმაც მოიგეს, რომლებსაც კრემლი ღიად არ უჭერდა მხარს. ამ მიმართულებით კრემლის მიერ დაშვებული შეცდომების გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზი ადგილობრივი მოსახლეობის განწყობების არასწორი შეფასება და კრემლის ის ხისტი პოლიტიკაა, რომლის განხორციელებაც ადგილობრივი პოლიტიკური ჯგუფების/მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევს.
- არასასურველი კანდიდატების გამარჯვების შემთხვევაში, მიუხედავად ამ კანდიდატების რუსეთისადმი ლოიალობისა, კრემლი შელახული რეპუტაციის აღდგენას მათი საპრეზიდენტო პოსტიდან ჩამოშორებით და თავისი ფავორიტების გაპრეზიდენტებით ცდილობს. დასახული მიზნის მისაღწევად კი კრემლი იყენებს როგორც ხისტი მეთოდებს, ეკონომიკური სანქციების სახით, ასევე დიპლომატიურ ინსტრუმენტებსაც, რაც კონფლიქტურ რეგიონებში ავტორიტეტული და გავლენიანი შუამავლების წარგზავნით გამოიხატება.

შენიშვნები

1. ვლადისლავ არძინბა პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებდა 1994 წლის 26 ნოემბრიდან 2005 წლის 12 თებერვლამდე. მანამდე არძინბა ჯერ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე იყო (1990 წლის 24 დეკემბერი-1992 წლის 23 ივლისი), შემდეგ კი – აფხაზეთის პარლამენტის თავმჯდომარე (1992 წლის 23 ივლისი-1994 წლის 26 ნოემბერი).
2. ვალერი არშბა 1995 წლის 5 იანვრიდან, ვლადისლავ არძინბას პირველი სა-პრეზიდენტო ვადის დროს, უკვე იყო აფხაზეთის პირველი ვიცე-პრეზიდენტი.
3. ვლადისლავ არძინბა 2010 წლის 4 მარტს მოსკოვში გარდაიცვალა.
4. „Putin Meddles in Abkhazia Presidential Election“, *Civil Georgia*, 31 August, 2004, www.bit.ly/2uRE4f5 (ნანახია 12 ივლისს, 2017).
5. სერგეი ბალაფში პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებდა 2005 წლის 12 თებერვლიდან 2011 წლის 29 მაისამდე, გარდაცვალებამდე.
6. „Timeline of Abkhaz Crisis“, *Civil Georgia*, 12 January, 2005, www.bit.ly/2ua3B5y (ნანახია 12 ივლისს, 2017).
7. „რუსეთი აფხაზეთში თავის მისიას აგზავნის“, *სივილ ჯორჯია*, 1 დეკემბერი, 2004, www.bit.ly/2uaaHax (ნანახია 12 ივლისს, 2017).
8. „Abkhaz Rivals Reach Power-Sharing Deal“, *Radio Free Europe/Radio Liberty*, 6 December, 2004, www.bit.ly/2u9Xj63 (ნანახია 12 ივლისს, 2017).
9. „Abkhaz Vice-President Resigns“, *Civil Georgia*, 28 May, 2009, www.bit.ly/2u9UW3d (ნანახია 12 ივლისს, 2017).
10. Matt Robinson, „Rebel Abkhazia re-elects leader, Russian Hails Vote“, *Reuters*, 13 December, 2009, www.reut.rs/2t33CbM (ნანახია 12 ივლისს, 2017).
11. „Abkhaz Presidential Election Campaign Turns Ugly“, *Radio Free Europe/Radio Liberty*, 18 August, 2011, www.bit.ly/2t4EHVr (ნანახია 12 ივლისს, 2017).
12. ალექსანდრე ანქვაბი პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი იყო 2011 წლის 29 მაისიდან, 2011 წლის 26 სექტემბრიდან კი, მოქმედი პრეზიდენტი იყო 2014 წლის 1 ივნისამდე, გადადგომამდე. მისი გადადგომის შემდეგ, 2014 წლის 1 ივნისიდან 2014 წლის 25 სექტემბრამდე, პრეზიდენტის მოვალეობას ვალერი ბგანბა ასრულებდა.
13. „Medvedev Congratulates Ankvab on Victory“, *Civil Georgia*, 27 August, 2011, www.bit.ly/2sRgxcR (ნანახია 12 ივლისს, 2017).
14. „Владислав Сурков обнадежил лидеров абхазской оппозиции“, *LifeNews*, 28 мая, 2014, www.bit.ly/1JLKWIr (ნანახია 23 ივნისს, 2015).
15. „Surkov Welcomes „Peaceful Resolution of Crisis“ in Abkhazia“, *Civil Georgia*, 1 June, 2014, www.bit.ly/2uStI3V (ნანახია 12 ივლისს, 2017).

16. პრეზიდენტის პოსტის შემოღებამდე ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ლიდერები უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეები იყვნენ: ტორეზ კულუმბეგოვი (1990 წლის 10 ოქტომბერი-1991 წლის 4 მაისი), ზნაურ გასიევი (1991 წლის 4 მაისი-1992 წლის 9 სექტემბერი), ტორეზ კულუმბეგოვი (1992 წლის 9 სექტემბერი – 1993 წლის 17 სექტემბერი), ლუდვიგ ჩიბიროვი (1993 წლის 17 სექტემბერი-1996 წლის 27 ნოემბერი).
17. ლუდვიგ ჩიბიროვი პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებდა 1996 წლის 27 ნოემბრიდან 2001 წლის 18 დეკემბრამდე.
18. ედუარდ კოკოითი პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებდა 2001 წლის 18 დეკემბრიდან 2011 წლის 10 დეკემბრამდე.
19. Donnacha Ó Beacháin, “Elections in De Facto States: Abkhazia, Nagorno-Karabakh, and Transnistria”, *Center for Strategic and International Studies: Russia and Eurasia Program*, 16 April, 2013, www.bit.ly/2teKva3 (ნანახია 12 ივლისს, 2017).
20. Alexander Gabuev, Zaur Farniev, „Eduard Kokoity override the third term“, *15-th REGION*, 19 May, 2009, www.bit.ly/2tjXh7a (ნანახია 14 ივლისს, 2017).
21. „Kokoity Quits“, *Civil Georgia*, 10 December, 2011, www.bit.ly/2tNPnGS (ნანახია 14 ივლისს, 2017).
22. „Medvedev Endorses Kremlin`s Candidate in South Ossetian Presidential Run off“, *Radio Free Europe/Radio Liberty*, 23 November, 2011, www.bit.ly/2tR2028 (ნანახია 14 ივლისს, 2017).
23. Robert Coalson, „South Ossetia’s Alla Dzhioyeva Comes Into Her Own“, *Radio Free Europe/Radio Liberty*, 2 December, 2011, www.bit.ly/2tR2RjB (ნანახია 14 ივლისს, 2017).
24. ლეონიდ თიბილოვი პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებდა 2012 წლის 19 აპრილიდან 2017 წლის 21 აპრილამდე.
25. „Dzhioyeva Appointed South Ossetia`s Deputy PM“, *Radio Free Europe/Radio Liberty*, 24 May, 2012, www.bit.ly/2vi7enc (ნანახია 14 ივლისს, 2017).
26. Liz Fuller, „Former South Ossetian leader to Appeal Election Ban“, *Radio Free Europe/Radio Liberty*, 9 March, 2017, www.bit.ly/2tQY15v (ნანახია 14 ივლისს, 2017).
27. Dominik K. Cagara, „Kokoity vs Tibilov: an Irrelevant Standoff“, *Civil Georgia*, 22 March, 2017, www.bit.ly/2uWM9iG (ნანახია 14 ივლისს, 2017).
28. „Putin Meets South Ossetian Leader in Moscow“, *Civil Georgia*, 22 March, 2017, www.bit.ly/2vhlZW7 (ნანახია 14 ივლისს, 2017).
29. „Surkov: Bibilov Vicotry „Predictable““, *Civil Georgia*, 10 April, 2017, www.bit.ly/2tR0k8Q (ნანახია 14 ივლისს, 2017).